



# ფინანსური აუდიტის ანგარიში



## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ 14 “ თებერვალი “ 2018 წელი

№ 19/36

### “ვაგტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი  
ნლე ქაშიბაძე

ეგზ. 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
საქვეუწყებო დაწესებულების  
ადმინისტრაციულ-სამეურნეო  
სამმართველოს  
ფინანსური აუდიტის ანგარიში  
01.01.2017-31.12.2017 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის

## სარჩევი

|                                                                                  |    |
|----------------------------------------------------------------------------------|----|
| ტერმინთა განმარტება .....                                                        | 3  |
| 1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე .....            | 5  |
| ▪ 1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                    | 5  |
| ▪ 1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები .....                                       | 6  |
| 2. სხვა გარემოებები .....                                                        | 8  |
| ▪ 2.1 მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით .....                       | 8  |
| 3. სამმართველოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე .....     | 9  |
| 4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე .....                | 9  |
| 5. დანართები - სამმართველოს (პროგრამული კოდი: 02 02) ფინანსური ანგარიშგება ..... | 12 |


#### ტერმინთა განმარტება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება  
ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო - **სამმართველო.**

ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს შესახებ

სამმართველო არის აღმასრულებელი ხელისუფლების საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მთავრობის წინაშე. სამმართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების საქმიანობისათვის ნორმალური პირობების შექმნა.

სამმართველოს სტრუქტურა



პროგრამა (კოდი: 02 02) მოიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს აპარატს.

ცხრილი 1. სამმართველოს 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარებში)

| პროგრ. კოდი | დასახელება           | 2017 წ. დამტკიცებული ბიუჯეტი | 2017 წ. დაზუსტებული ბიუჯეტი | 2017 წ. საკასო ხარჯი | სხვაობა დამტკ.-დაზუსტ | შესრ.% |
|-------------|----------------------|------------------------------|-----------------------------|----------------------|-----------------------|--------|
| 02 02       | სულ ჯამში:           | 617,390.00                   | 630,040.00                  | 619,731.08           | -12,650.00            | 98.36  |
|             | ხარჯები              | 617,390.00                   | 630,040.00                  | 619,731.08           | -12,650.00            | 98.36  |
|             | შრომის ანაზღაურება   | 320,830.00                   | 311,660.00                  | 311,658.5            | 9170                  | 99.99  |
|             | საკონ. და მომსახ.    | 285,060.00                   | 311,080.00                  | 302,323.18           | -26,020.00            | 97.18  |
|             | სოც. უზრუნვე.        | 0.00                         | 0.00                        | 0.00                 | 0.00                  | 0.00   |
|             | სხვა ხარჯ.           | 5,500.00                     | 1,300.00                    | 1,205.40             | 0.00                  | 21.92  |
|             | არაფინანს. აქტ. ზრდა | 6,000.00                     | 6,000.00                    | 4,544.00             | 0.00                  | 75.73  |

## 1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების  
ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ხელმძღვანელობას

### 1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ადმინისტრაციულ სამეურნეო სამმართველოს (პროგრამული კოდი: 02 02) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2-2), წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №3), არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №4), არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №5), არასაოპერაციო შემოსავლებისა და არსაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №5-1), ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე (ბალანსის დანართი ფორმა №6), ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოშობის წლების მიხედვით (ფორმა №7), ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით (ფორმა №8), ინფორმაცია ფინანსური აქტივების და მოთხოვნების შესახებ დებიტორების მიხედვით (ფორმა №9), ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით (ფორმა №10).

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამმართველოს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

## 1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

### 1.2.1 ძირითადი აქტივები

- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა სამმართველოს უვადო სარგებლობით, უსასყიდლოდ გადმოსცა<sup>1</sup> 2007 წელს გამოშვებული (ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივი) ავტომანქანა - LEXUS LX-470 (სახ. № MAI-207) ნარჩენი ღირებულებით - 0.00 ლარი (საწყისი ღირებულება - 150,500.00 ლარი).
- როგორც გაირკვა, მიუხედავად ავტომანქანის ნულოვანი ნარჩენი ღირებულებისა<sup>2</sup>, აღნიშნული ძირითადი აქტივი სამმართველოს ბალანსზე აღირიცხა სს „სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების<sup>3</sup> დანართში მითითებული სადაზღვევო ღირებულებით - 45,000.00 ლარით და წლის ბოლოს დაერიცხა ცვეთა - 1,560.00 ლარი.
- შედეგად, ავტომობილი საცნობარო მუხლში („ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ - 08) 150,500.00 ლარის საწყისი ღირებულებით აღრიცხვის ნაცვლად,<sup>4</sup> 45,000.00 ლარის ოდენობით არასწორად აისახა ფინანსური ანგარიშგების ფორმა № 1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლში, ბალანსის დანართ ფორმა №5-სა და ბალანსის დანართ ფორმა №3-ის - „საოპერაციო შემოსავლების“ მუხლში<sup>5</sup> გრანტების სახით. ამასთანავე, ავტომობილზე დარიცხული ცვეთის გამო ბალანსის დანართ ფორმებში - № 2-ში, № 3-სა და № 5-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად იქნა გაზრდილი 1,560.00 ლარით.
- ბალანსის დანართი ფორმა №5-ის „მატერიალური მარაგების“ მუხლში (ფულადი დოკუმენტები) საქონელი და მომსახურებით გასვლა 49,522.36 ლარის ნაცვლად, (როგორც გაირკვა ტექნიკური შეცდომის გამო) ნაჩვენები იყო 79,522.36 ლარის ოდენობით. შესაბამისად, „მატერიალური მარაგების“ მუხლში ჯამში საქონელი და მომსახურებით გასვლა 129,038.52 ლარის ნაცვლად, უზუსტოდ იყო ასახული 99,038.52 ლარის ოდენობით<sup>6</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2017 წლის 21 ივნისის №22543 ბრძანება; საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სამმართველოს შორის 2017 წლის 21 ივნისის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

<sup>2</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 24-ე მუხლის 21-ე პუნქტი.

<sup>3</sup> სამმართველოსა და სს - სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფს“ შორის 2017 წლის 7 ივლისის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №123.

<sup>4</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-43 მუხლის მე-9 პუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

<sup>5</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტი, მე-8 მუხლის მე-20 პუნქტი, 39-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

<sup>6</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლში, ინფორმაცია „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“, „სხვა ძირითადი აქტივების“ ქვემუხლების შესახებ შეცდომით (შეუსაბამოდ) იყო წარმოდგენილი<sup>7</sup>. კერძოდ:

ცხრილი 2. ფინანსური ანგარიშგების ფორმა №5-ში წარმოდგენილი და რეალური ინფორმაცია

(ლარებში)

| არაფინანსური აქტივების დასახელება           | ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |                   | კორექტირების შემთხვევაში |                   |
|---------------------------------------------|---------------------------------|-------------------|--------------------------|-------------------|
|                                             | საწყისი ნაშთი                   | საბოლოო ნაშთი     | საწყისი ნაშთი            | საბოლოო ნაშთი     |
| <b>2. ძირითადი აქტივები</b>                 | <b>340,081.42</b>               | <b>338,974.18</b> | <b>340,081.42</b>        | <b>338,974.08</b> |
| 2.1 შენობა-ნაგებობები                       | 182,763.80                      | 180,796.85        | 182,763.80               | 180,796.85        |
| 2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი        |                                 |                   | 148,657.62               | 151,097.23        |
| 2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები              |                                 |                   | 93,178.07                | 107,883.12        |
| 2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 148,657.62                      | 151,097.23        | 55,479.55                | 43,214.11         |
| 2.3 სხვა ძირითადი აქტივები                  | 93,178.07                       | 107,883.12        | 8,660.00                 | 7,080.00          |
| 2.3.1 კულტივირებული აქტივები                | 55,479.55                       | 43,214.11         |                          |                   |
| 2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები      | 8,660.00                        |                   | 8,660.00                 | 7,080.00          |
| 2.4 სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები        |                                 |                   |                          |                   |
| 2.4.1 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი         | 8,660.00                        | 7,080.00          |                          |                   |

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამმართველოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ დასტურდება არაფინანსური (ძირითადი) აქტივების შესახებ ინფორმაციის უტყუარობა, სიზუსტე და შესაბამისობა.

### 1.2.2 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ბალანსის დანართი ფორმა №2-ის „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში ინფორმაცია წარმოდგენილი იყო 36,864.03 ლარის ოდენობით, ფორმა №3-ში - 37,323.13 ლარის ოდენობით (მათ შორის, ფიზიკური ცვეთა - 36,864.03 ლარი), ხოლო ფორმა №5-ში - 33,057.43 ლარის ოდენობით. როგორც დადგინდა, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარებასა“ და „ფიზიკურ ცვეთას“ შორის არსებული სხვაობა 464.10 ლარის ოდენობით წარმოადგენდა ბალანსიდან ჩამოწერილ<sup>8</sup> 193.40 ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე გამოუსადეგარ აქტივებს და სხვა სახელმწიფო ერთეულზე განსაკარგავად გადაცემულ<sup>9</sup> 270.70 ლარის აქტივებს. დადგენილი წესის მიხედვით<sup>10</sup>,

<sup>7</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

<sup>8</sup> სამმართველოს უფროსის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანება № 01/24 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული და გამოუსადეგარი მოძრავი ქონების ჩამოწერის შესახებ“.

<sup>9</sup> სამმართველოს უფროსის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანება № 01/23 „მოძრავი ქონების სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემის შესახებ“.

<sup>10</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 23-ე მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის

შინაარსობრივად ზემოაღნიშნული სამეურნეო ოპერაციები არ მიეკუთვნება ძირითადი კაპიტალის მოხმარების ამსახველ ოპერაციებს. ჩამოწერილი აქტივები უნდა ასახულიყო არასაოპერაციო ხარჯად, ხოლო გადაცემული აქტივები - გრანტებად. ფორმა №5-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში არსებული მონაცემების ჯამი ნაცვლად 37,057.43 ლარისა, არასწორად იყო ნაჩვენები 33,057.43 ლარის ოდენობით. ამასთანავე, აღნიშნული თანხა გარდა არასწორად დაჯამებისა, არამართებულად იყო გაზრდილი 193.40 ლარის ჩამოწერილი აქტივების ღირებულებით.

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას<sup>11</sup>.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“ - ნაწილში. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ სამმართველოსგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

## 2. სხვა გარემოებები

### 2.1 მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ გაურკვეველ ვითარებაში დაკარგული მობილური ტელეფონი - SAMSUNG GALAXY A3 ნარჩენი ღირებულებით 382.80 ლარი (შესყიდვის თარიღი - 08.07.2015, საწყისი ღირებულება - 638.00 ლარი) არასწორად აღირიცხა ბალანსის დანართ ფორმა №3-ში არასაოპერაციო ხარჯად<sup>12</sup>. ამასთანავე, როგორც მოპოვებული მტკიცებულებით<sup>13</sup> გაირკვა, აღნიშნული ნივთი იძებნება შსს მობილური

№70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

<sup>11</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტები.

<sup>12</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

<sup>13</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 2017 წლის 22 მაისის ცნობა MIA 2 17 01488477.

ტელეფონების მონაცემთა ერთიანი ბაზის საშუალებით, ხოლო განმცხადებელი გამორიცხავს მის მიმართ კრიმინალურ ქმედებას და ამ მხრივ პრეტენზია არავის მიმართ არ გააჩნია.

შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი კანონმდებლობით<sup>14</sup> ნივთის შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, დანაკლისის თანხები აუდიტის ჩატარების მომენტისათვის ანაზღაურებული (დაფარული) არ იყო.

### 3. სამმართველოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

### 4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ

<sup>14</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №605 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა - უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამმართველოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამმართველოს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამმართველოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის,

გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, სამმართველო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

თარიღი:

14.02.2018

ხელმოწერა:


**ბონდო გასვიანი** - უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი  
(ტელ.: 577 38 02 04; ელფოსტა: BGasviani@sao.ge)



**მიხეილ გოდოლაძე** - აუდიტორ-ასისტენტი



**ეთერ კაცაძე** - აუდიტორ-ასისტენტი



5. დანართები - სამმართველოს (პროგრამული კოდი: 02 02)  
ფინანსური ანგარიშგება

---

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

## ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -  
ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო

---

ჩაბარების ვადა

22 იანვარი

---

ჩააბარა

(ხელმოწერა)

---

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

| კოდი                                       | აქტივები                                                                                       | ანგარიშის<br>ნომერი | ნაშთი წლის<br>დასაწყისისთვის | ნაშთი წლის<br>(კვარტლის)<br>ბოლოს |
|--------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|------------------------------|-----------------------------------|
| 1                                          | 2                                                                                              | 3                   | 4                            | 5                                 |
| <b>I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</b> |                                                                                                |                     |                              |                                   |
| 010                                        | ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში                                                           | 1110                |                              |                                   |
| 020                                        | ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში                                                            | 1120                |                              |                                   |
| 030                                        | მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში                                                     | 1211                |                              |                                   |
| 040                                        | მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში                                                      | 1212                |                              |                                   |
| 050                                        | სხვა ანგარიშები ბანკში                                                                         | 1220                |                              |                                   |
| 060                                        | მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში                                        | 1230                |                              |                                   |
| 070                                        | ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი<br>დაფინანსებისათვის                               | 1240                |                              |                                   |
| 080                                        | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო<br>ხარჯებისათვის                              | 1250                |                              |                                   |
| 090                                        | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში                                                           | 1260                |                              |                                   |
| 100                                        | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში                                                            | 1270                |                              |                                   |
| 110                                        | ხაზინის სავალუტო ანგარიში                                                                      | 1280                |                              |                                   |
| 120                                        | გადასახადების სახაზინო ანგარიში                                                                | 1291                |                              |                                   |
| 130                                        | სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში                                                                 | 1292                |                              |                                   |
| 140                                        | ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა                                                             | 1310                |                              |                                   |
| 150                                        | მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები                                                                 | 1321                |                              |                                   |
| 160                                        | მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით                                                    | 1322                |                              |                                   |
| 170                                        | აქციები და სხვა კაპიტალი                                                                       | 1330                |                              |                                   |
| 180                                        | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები                                                             | 1340                |                              |                                   |
| 190                                        | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                        | 1351                |                              |                                   |
| 200                                        | არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                     | 1352                |                              |                                   |
| 210                                        | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული<br>პროცენტები                                 | 1353                |                              |                                   |
| 220                                        | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და<br>საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით | 1354                |                              |                                   |
| 230                                        | მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების<br>მიწოდებით                                 | 1355                |                              |                                   |
| 240                                        | მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით                                                       | 1356                |                              |                                   |
| 250                                        | საშემოსავლო გადასახადი                                                                         | 1361                |                              |                                   |
| 260                                        | მოგების გადასახადი                                                                             | 1362                |                              |                                   |
| 270                                        | ქონების გადასახადი                                                                             | 1363                |                              |                                   |
| 280                                        | დამატებული ღირებულების გადასახადი                                                              | 1364                |                              |                                   |
| 290                                        | აქციზის გადასახადი                                                                             | 1365                |                              |                                   |
| 300                                        | იმპორტის გადასახადი                                                                            | 1366                |                              |                                   |
| 310                                        | სხვა გადასახადები                                                                              | 1367                |                              |                                   |
| 320                                        | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                                                 | 1370                |                              |                                   |
| 330                                        | მოთხოვნები ბარტერით                                                                            | 1410                |                              |                                   |
| 340                                        | მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ                                                       | 1420                |                              |                                   |
| 350                                        | მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი<br>გადახდებით                           | 1431                |                              |                                   |

|                           |                                                                                |      |           |           |
|---------------------------|--------------------------------------------------------------------------------|------|-----------|-----------|
| 360                       | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით                | 1432 |           |           |
| 370                       | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით                                 | 1440 | 11650.29  | 12033.09  |
| 380                       | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით           | 1451 |           |           |
| 390                       | მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით | 1452 |           |           |
| 400                       | მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით | 1453 |           |           |
| 410                       | ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები                                | 1454 |           |           |
| 420                       | მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით                                           | 1461 |           |           |
| 430                       | მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ                                            | 1462 |           |           |
| 440                       | მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                               | 1463 |           |           |
| 450                       | მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით                                   | 1470 |           |           |
| 460                       | მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით                       | 1481 |           |           |
| 470                       | მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით                       | 1482 |           |           |
| 480                       | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები                                         | 1483 |           |           |
| 490                       | გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები                                                 | 1511 |           |           |
| 500                       | გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით                                    | 1512 |           |           |
| 510                       | აქციები და სხვა კაპიტალი                                                       | 1520 |           |           |
| 520                       | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები                                           | 1530 |           |           |
| 530                       | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები                                                   | 1540 |           |           |
| II. არაფინანსური აქტივები |                                                                                |      |           |           |
| 540                       | სტრატეგიული მარაგები                                                           | 1610 |           |           |
| 550                       | ნედლეული და მასალები                                                           | 1621 |           |           |
| 560                       | დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება                                             | 1622 |           |           |
| 570                       | მზა პროდუქცია                                                                  | 1623 |           |           |
| 580                       | შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონელი                                     | 1624 |           |           |
| 590                       | ფულადი დოკუმენტები                                                             | 1625 | 520.00    | 506.00    |
| 600                       | სათადარიგო ნაწილები                                                            | 1626 |           | 652.00    |
| 610                       | სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები                                            | 1627 | 6811.52   | 8735.99   |
| 620                       | საცხოვრებელი შენობები                                                          | 2111 |           |           |
| 630                       | არასაცხოვრებელი შენობები                                                       | 2112 | 182763.80 | 180796.85 |
| 640                       | საგზაო მაგისტრალები                                                            | 2113 |           |           |
| 650                       | ქუჩები                                                                         | 2114 |           |           |
| 660                       | გზები                                                                          | 2115 |           |           |
| 670                       | ხიდები                                                                         | 2116 |           |           |
| 680                       | გვირაბები                                                                      | 2117 |           |           |
| 690                       | გაყვანილობის სისტემები                                                         | 2118 |           |           |
| 700                       | სხვა ნაგებობები                                                                | 2119 |           |           |
| 710                       | სატრანსპორტო საშუალებები                                                       | 2121 | 93178.07  | 107883.12 |
| 720                       | სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                                          | 2122 | 55479.55  | 43214.11  |
| 730                       | კულტივირებული აქტივები                                                         | 2131 |           |           |
| 740                       | არამატერიალური ძირითადი აქტივები                                               | 2132 | 8660.00   | 7080.00   |
| 750                       | სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები                                               | 2140 |           |           |
| 760                       | დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი                                                  | 2141 |           |           |

|     |                                                          |      |           |           |
|-----|----------------------------------------------------------|------|-----------|-----------|
| 770 | საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება | 2142 |           |           |
| 780 | ტექნიკა                                                  | 2210 |           |           |
| 790 | ინვენტარი                                                | 2220 |           |           |
| 800 | მოწყობილობა                                              | 2230 |           |           |
| 810 | სხვა მცირეფასიანი აქტივები                               | 2240 |           |           |
| 820 | ძვირფასი ქვები და ლითონები                               | 2310 |           |           |
| 830 | ხელოვნების ნიმუშები                                      | 2320 |           |           |
| 840 | სხვა ფასეულობები                                         | 2340 |           |           |
| 850 | მიწა                                                     | 2410 |           |           |
| 860 | წიაღისეული                                               | 2420 |           |           |
| 870 | სხვა ბუნებრივი აქტივები                                  | 2430 |           |           |
| 880 | არაწარმოებული არამატერიალური აქტივები                    | 2440 |           |           |
| 890 | ბალანსი                                                  |      | 359063.23 | 360901.16 |

| კოდი             | ვალდებულებები და კაპიტალი                                                                | ანგარიში<br>ს ნომერი | ნაშთი წლის<br>დასაწყისისა<br>თვის | ნაშთი წლის<br>(კვარტლის)<br>ბოლოს |
|------------------|------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
| 1                | 2                                                                                        | 3                    | 4                                 | 5.00                              |
| I. ვალდებულებები |                                                                                          |                      |                                   |                                   |
| 890              | ვალდებულებები დეპოზიტებით                                                                | 3110                 |                                   |                                   |
| 900              | ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა                                        | 3120                 |                                   |                                   |
| 910              | მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო<br>სესხებით                                         | 3131                 |                                   |                                   |
| 920              | მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო<br>სახსრებით                             | 3132                 |                                   |                                   |
| 930              | ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით                                                 | 3140                 |                                   |                                   |
| 940              | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები                                                       | 3150                 |                                   |                                   |
| 950              | საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული<br>ვალდებულებები                           | 3210                 |                                   |                                   |
| 960              | არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                 | 3220                 | 2857.00                           | 5821.19                           |
| 970              | ვალდებულებები ბარტერით                                                                   | 3230                 |                                   |                                   |
| 980              | გადასახდელი მოგების გადასახადი                                                           | 3241                 |                                   |                                   |
| 990              | გადასახდელი დღგ                                                                          | 3242                 |                                   |                                   |
| 1000             | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი                                                       | 3243                 |                                   |                                   |
| 1010             | სხვა გადასახდელები                                                                       | 3244                 |                                   |                                   |
| 1020             | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით                                | 3245                 |                                   |                                   |
| 1030             | გადასახდელი ქონების გადასახადი                                                           | 3246                 |                                   |                                   |
| 1040             | გადასახდელი აქციზი                                                                       | 3247                 |                                   |                                   |
| 1050             | გადასახდელი იმპორტის გადასახადი                                                          | 3248                 |                                   |                                   |
| 1060             | შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                                | 3251                 |                                   |                                   |
| 1070             | შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                            | 3252                 |                                   |                                   |
| 1080             | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით                                                  | 3253                 | 30.00                             |                                   |
| 1090             | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ                                                   | 3254                 |                                   |                                   |
| 1100             | დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური<br>დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3255                 |                                   |                                   |

|                        |                                                                                          |      |           |           |
|------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|------|-----------|-----------|
| 1110                   | დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3256 |           |           |
| 1120                   | ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით                 | 3257 |           |           |
| 1130                   | გადასახდელი სტიპენდიები                                                                  | 3258 |           |           |
| 1140                   | სოციალური დაზღვევის ანარიცხები                                                           | 3259 |           |           |
| 1150                   | ვალდებულებები დეპონენტების მიმართ                                                        | 3260 |           |           |
| 1160                   | სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები                                             | 3270 |           |           |
| 1170                   | წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა                                                           | 3281 |           |           |
| 1180                   | წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები                                                       | 3282 |           |           |
| 1190                   | დარიცხული გადასახდელი რენტა                                                              | 3283 |           |           |
| 1200                   | დარიცხული გადასახდელი პროცენტები                                                         | 3284 |           |           |
| 1210                   | გადასახდელი დივიდენდები                                                                  | 3285 |           |           |
| 1220                   | სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები                                                | 3286 |           |           |
| 1230                   | გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით                                            | 3311 |           |           |
| 1240                   | გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით                                | 3312 |           |           |
| 1250                   | სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები                                                | 3320 |           |           |
| 1260                   | საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები      | 3331 |           |           |
| 1270                   | არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები        | 3332 |           |           |
| 1280                   | სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები                                              | 3333 |           |           |
| 1370                   |                                                                                          |      |           |           |
| 1290                   | წმინდა ღირებულება                                                                        | 5100 | 356176.23 | 355079.97 |
| 1300                   | საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი                                                     | 5210 |           |           |
| 1310                   | გაუნაწილებელი მოგება                                                                     | 5220 |           |           |
| 1320                   | დაუფარავი ზარალი*                                                                        | 5230 |           |           |
| 1330                   | ბალანსი                                                                                  |      | 359063.23 | 360901.16 |
| III. საცნობარო მუხლები |                                                                                          |      |           |           |
| 1340                   | საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები                                              | 01   |           |           |
